ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 28 ოქტომბერი 1994 № 58 (133) ფასი სახელშეკრულებო

## სამტრედია ლიდერია





ნინა კვირას ეროვნული ნაკრებისა და „სამტრედიის" ნახევარმცველის კახი გოგიჩაიშვილის უშუალო მონაწილეობით გავიდა ერთადერთი გოლი „შევარდენი 1906-ის" კარში, რომელმაც სამტრედიელებს ჩემპიონატის ლიდერობა მოუტანა. უწინდელი ლიდერი თბილისის „დინამო" კი კვლავაც უმწვრთნელოდაა. დაპირებისამებრ გთავაზობთ ინტერვიუს თურქეთიდან დაბრუნებულ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან.

## ბურუსი ჯერ არ გაფანტულა...

— მერაბ, როდის გეყოლებათ მთავარი მწვრთნელი?

— უახლოეს დღეებში. კანდიდატურა რამდენიმეა, ვინაობის დასახელებისაგან თავს შევიკავებ. ალბათ, იკითხავთ, რატომ იწელება მთავარი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გვსურს ახალი მწვრთნელი გუნდში მაშინ მოვიწვიოთ, როდესაც ყველაფერი გაირკვევა, როდესაც წამსვლელნი წავლენ და მწვრთნელი ნახავს, ვისთან ექნება საქმე. ჩვენც გვეცოდინება, რეალურად რისთვის შეგვეძლება ბრძოლა ამ კონტიგენტით.

— გავიგეთ, რომ მიხეილ ფომენკოს მოწვევას აპირებთ...

— არ არის გამორიცხული. თუმცა, ისიც შეიძლება, ევროპელი ან რუსი მწვრთნელი მოვიწვიოთ.

— ერთხელ და სამუდამოდ წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობის გარკვევა ახსენეთ. რა სტადიაშია მათი შესაძლო ტრანსფერები? რახან თურქეთში ბრძანდებოდით, ტყუპებით დავიწყოთ.

— ის რაც „ტრაბზონსტადიონზე" 18 ოქტომბერს ვნახილე, არასოდეს მინახავს და, ვფიქრობ, ოდესმე დავივიწყო. ორმოცი ათასმა კაცმა „აჩი-შოთას" ღრიალით ტყუპები სარბენ ბილიკზე გაიყვანა. მეგონა, სტადიონი დაინგრეოდა. „ასტონ ვილასთან" თამაში თითქოს არავის აინტერესებდა. კონტრაქტს თურქების ... აძნელებს, სურთ მაინცდამაინც მათ ჰქონ... ყვეტისა. თვის ბოლომდე ყველაფერი გაირკვევა.

— დანარჩენები?

— ქინქლაძის თაობაზე რამდენიმე კლუბთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას. იგი აუცილებლად მოხვდება ძლიერი საფეხბურთო ქვეყნის ძლიერ კლუბში; შელიათი ორი-სამი გერმანული გუნდია დაინტერესებული; რეზო არველაძე და ინალიშვილი ისრაელში ითამაშებენ; რევიშვილი მალე ვლადიკავკაზს გაემგზავრება; ყაველაშვილმაც იქაურ „სპარტაკში" თამაშის სურვილი გამოთქვა; ნემსაძის წაყვანის თაობაზე გერმანულ კლუბებს სურთ ჩვენთან კონტაქტი. ჯამარაული მოსკოვში მკურნალობს. იგი სერიოზულადაა ავად და ვარჩიეთ, იქ ემკურნალა.

— გეთანხმებით იმაში, რომ სჯობს ახალ მწვრთნელს ახალი კონტიგენტი დახვდეს, მაგრამ გუნდი უმწვრთნელოდ ძვირფას ქულებს კარგავს. ეს კი ერთობ გაგიძნელებთ ჩემპიონობისათვის ბრძოლის საქმეს.

— „სამტრედიასთან" და „დილასთან" დაკარგული ქულები მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთელთა ბრალია. მიუხედავად ნიჭიერებისა, ისინი ჯერ კიდევ არ არიან ჩამოყალიბებული პროფესიონალები — პროფესიონალისთვის რიგითი თამაშები არ არსებობს...

მამუკა კვარაცხელია



## ჩემპიონატი – ვერის ბაღში, ნაკრები – უნგრეთში

სამშაბათს, 25 ოქტომბერს ვერის ბაღში საქართველოს მეოთხე საკალათბურთო ჩემპიონატი დაიწყო. ისე მოხდა, რომ პირველი ქვეჯგუფის ექვსი გუნდიდან ასპარეზობა ოთხმა დაიწყო: „კაქტუსი-2"-მა ბოლო წამს იუარა შეჯიბრებაში მონაწილეობა, საქართველოს ჩემპიონმა „ვითამ" კი ნაკრებში 5 კალათბურთელი მიავლინა და ამ ტურის მატჩებს მოგვიანებით გამართავს.

სანამ რიცხვნაკლული პირველი ქვეჯგუფის გუნდები ვერაზე არკვევენ ურთიერთობას, საქართველოს ეროვნული ნაკრები უნგრეთს გაემგზავრა. იქ დღეს დაიწყება და ზეგ დასრულდება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ჩვენების გარდა კიდევ ვინ მონაწილეობს, დანამდვილებით ვერავინ გვითხრა. საქართველოს ნაკრების ღირსებას კი დაიცავენ: ირაკლი ვაშაკიძე, მიხეილ კობეშავიძე, გია სანაძე, ამბროსი ორმოცაძე, ნუგზარ კოკოლიშვილი (ყველა — „ვითა"), რევაზ ჩხეიძე, ვახტანგ ნაცვლიშვილი, დავით ბერძენიშვილი, კახა შენგელია (ყველა — „კაქტუსი"), პაატა გურასპაული („თბილისი").

მესამე გვერდზე ახლადდაწყებული საქართველოს ჩემპიონატის მატჩების შედეგებს და „კაქტუსის" მწვრთნელის თამაზ ოქრუაშვილის ინტერვიუს გთავაზობთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

### გუშინდელი მატჩები:

თორსი — შევარდენი 87:65 (41:30)

თორსი: თორთლაძე (31), ჩხეიძე (12), ცაგარეიშვილი (7), ხარაძე (11), ქევხიშვილი (22); მიქაძე, კლეიტონი (2), ლომიძე (2)

შევარდენი: ფიოდოროვი (2), მაჭავარიანი (24), ესიტაშვილი (2), ისაკაძე (24), თაბუაშვილი (8); ლვ ანეფაძე, გურგენიძე (5), ინაძე, ქავთარაძე

დინამო — გეორგიკა 103:57 (61:28)

დინამო: დარსაძე (13), ქარაბაკი (25), ცხვედიანი (19), სხიერელი (9), ფერიაშვილი (2); მაისურაძე (4), ცაგარეიშვილი (7), დავითულიანი (4), კილაძე (2), გოგუა (18), სამხარაძე

გეორგიკა: ჩიქოვანი (16), ჩაჩხიანი (6), ძიძიგური (18), კობიძე (8), ჭეიშვილი (7); ეგუტია (1), ბოჭორიშვილი (1), დ. დიხამიძე, ახობაძე ბიჭაშვილი

# თამაშს ვერც სახელით იგებენ

## დილა 0:0 დინამო

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი (ფეზუაშვილი 73), მარეხაშვილი, გეგეჭკორი, მინდიაშვილი (ტაბატაძე 85), ზურ. ხორგუაშვილი, ნკრიალაშვილი

დინამო: ზოიძე, დიდავა, ქველაძე (ნემსაძე 29), შელია, ინალიშვილი, ყაველაშვილი, ა. არველაძე, კიკნაძე, რევიშვილი, ქინქლაძე, ანჩაბაძე (იაშვილი 68)

მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

ბოლო ხანს დინამოელთა თამაში ერთობ კონტრასტულია — დიდი ანგარიშით მოგებებს უფერული და ულიმღამო წაგება და ფრე მოჰყვა. დინამოელები გორშიც მთავარი მწვრთნელის გარეშე გაემგზავრნენ და ისე უსუსურად ითამაშეს, გაოცებული დავრჩი — ნუთუ ეს ის ბიჭები არიან, რამდენიმე კვირის წინ ევროპელი სპეციალისტები რომ აალაპარაკეს?! თბილისელები გაურკვეველი ტაქტიკური სქემით, თანაც ისე უჯიგროდ თამაშობდნენ, გორელები ოდნავ უკეთ რომ ყოფილიყვნენ ფიზიკურად მზად და ცოტა ყისმათიც ჰქონოდათ, სამ ქულასაც აიღებდნენ. გორელებმა წინწაწეულ არჩილ არველაძეს და ყაველაშვილს ბალაშვილი და გაგნიძე მიუჩინეს, თავად კი წინ მხოლოდ ზურაბ ხორგუაშვილი გაამწესეს, რომლის მეურვეობა თბილისელთაგან დიდავას დაეკისრა. ხორგუაშვილი ჯანის, ტექნიკის და სხარტი სისწრაფის წყალობით მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა თბილისელთა დაცვას, პირველ ტაიმში ორჯერ საგოლე მომენტიც გაუცუდდა, ერთხელ კი ძელსაც გაარტყა. დინამოელები ეტყობოდათ, მხოლოდ სახელისა და ავტორიტეტის იმედად იყვნენ, გორელებსაც თავის მხრივ ამეების რიდი ჰქონდათ და, ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ ვერ გაიტანეს გოლი. ასე „შეიბნენ" იმ დღეს გორის სტადიონის სველ მინდორზე სახელი და მონდომება, საბოლოოდ კი ვერცერთმა იძალა.

თუ აქამდე სიტყვაც არ დამცდენია დინამოელთა საგოლე მომენტებზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი არაფერი მომხდარა, მატჩის მიწურულს ნემსაძის მიერ ხარხას გადაცილებულ ბურთს თუ არ ჩავთვლით, გიორგიმ რომ ლამაზად „ჩამოიღო", დაამუშავა და დაარტყა.

მატჩის ბოლო 15 წუთი დინამოელები გორელთა ნახევარზე დასახლდნენ, თუმცა ეს იმდენად მათი დამსახურება არ იყო, რამდენადაც გორელთა ფიზიკური სისუსტისა. ქაოტურ შეტევებსა და „დილას" საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთებს შედეგი აღარ გამოუღია, იუბილარი იაშვილის შემოსვლა კი ვეღარაფერს შეცვლიდა.

ამ ორმა დაკარგულმა ქულამ დინამოელები მესამე ადგილზე ჩამოაქვეითა, რაც სავსებით ლოგიკურია. ახლა, როგორც არასდროს, გუნდის ბედი მისი დირექტორატის ხელშია. აშკარა, რომ დაუხანებლად უნდა გადაწყდეს მთავარი მწვრთნელის საკითხი, ასევე წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობა, რაც მთავარია, საჭიროა მეტი ოფლის ღვრა. როგორც ხილის გადამწიფება არ შეიძლება, ისე ჩვენი ფეხბურთის ვარსკვლავების აქ გაჩერება — მათ სასწრაფოდ უნდა მოვუნახოთ საკადრის-შესაფერისი ევროპული გუნდები. ამის თაობაზე წინა ნომერში გესაუბრეთ და ამჯერად თავს აღარ შეგაწყენთ, ერთი კი უეჭველია — ყველანი უნდა შევეგუოთ იმას, რომ უახლოეს მომავალში „დინამო" კიდევ ერთხელ უნდა გაახალგაზრდავდეს.

მამუკა კვარაცხელია



ზურაბ ხორგუაშვილი — მატჩის საუკეთესო მოთამაშე

# სხვა გზა აღარ იყო...

ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა (18 წლამდე), რომელიც ევროპის ჩემპიონატის მეცხრე შესარჩევ ჯგუფში ასპარეზობდა, უმცროსი კოლეგების დარად ჯერ სომხეთის გუნდს სძლია, შემდეგ კი კვლავ მასპინძლებთან დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა. კიევში გამართული შეჯიბრების შესახებ გვესაუბრება მისი უშუალო მონაწილე, დინამოელი თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი.

— 5-დან 16 ოქტომბრამდე ჩინებული შეკრება გავიარეთ ალუშტაში. 18 ოქტომბერს პირველი მატჩი გვქონდა სომხებთან, რომელიც ორი დღით ადრე უკრაინელებთან 1:5 წააგეს, ჩვენთან კი თავი გაიგიეს. პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი გოლი გავუტანეთ. მეორე ტაიმის პირველი ათი წუთი ისე თავგანწირვით შემოგვიტიეს, გაგვაოგნეს. მაგრამ მალე დემეტრაძე მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა მათ საჯარიმოში, ძლიერადაც დაარტყა, ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, შემდეგ ბადეში გაეხვია. ამ გოლმა მეტოქე გატეხა და მალე საჯაიამ ჩემი პასის შემდეგ მესამე გოლი გაიტანა.

ორი დღის შემდეგ მასპინძლებს, უკრაინელებს შევხვდით. პირველ ტაიმში ჩვენ ვუტევდით, საჯაიამ ასპროცენტიანი საგლე მომენტიც ვერ გამოიყენა: 10-12 მეტრიდან პირდაპირ ხელებში მისცა მეკარეს ბურთი. ამის შემდეგ, ათიოდე წუთი ბურთიც კი დავუმალეთ მეტოქეს. მეორე ტაიმც კარგად დავიწყეთ, მაგრამ მე და დემეტრაძეს ნაღდი საგოლე მომენტები განგვიცუდდა. მეტოქემ, რომელსაც საუცხოო შუახაზი ჰყავდა, ოთხი ნაღდი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ ორჯერ ჩვენმა მეკარემ ასლანაძემ ივარგა, ორჯერაც ბურთი ძელს მოხვდა და მცველებმა გამოიტანეს ცარიელი კარიდან. მატჩის დამთავრებამდე 4 წუთი რჩებოდა, ფრე უკრაინელებს აძლევდათ ხელს, ჩვენც რა გზა გვქონდა, უკანმოუხედავად შევუტიეთ, რითაც მშვენივრად ისარგებლა მეტოქემ, ზედიზედ ორი გოლი გაგვიტანა კონტრშეტევაზე და ასე დავკარგეთ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი.

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის (18 წლამდე) შესარჩევი ტურნირი. კიევი

16 ოქტომბერი. უკრაინა—სომხეთი 5:1

18 ოქტომბერი.

საქართველო — სომხეთი 3:0

საქართველო: ასლანაძე (მრეტები), ბოჭორიშვილი (დურუჯი), კობიაშვილი (მეტალურგი), კალაძე (დინამო), ი. ხუჯაძე (დინამო), რევაზიშვილი (დილა), ხეტეშვილი (დინამო), დათვაძე (შევარდენი 1906), იაშვილი (დინამო), დემეტრაძე (დინამო), საჯაია (მრეტები)

გოლები: დათვაძე (15), დემეტრაძე (73), საჯაია (84)

20 ოქტომბერი

უკრაინა — საქართველო 2:0

საქართველო: ასლანაძე, ბოჭორიშვილი, კობიაშვილი, კალაძე, ი. ხუჯაძე, რევაზიშვილი (ელიძაშვილი 82 დინამო), ხუტეშვილი, გემაზაშვილი (დინამო), იაშვილი, დემეტრაძე, საჯაია (შენგელია 80, მრეტები)

გოლები: შევჩენკო (86, 89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| სომხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-8 | 0 |

# ჯერი, ეტყობა, ნაკრებზეა

აფხაზეთის ტელევიზია და რადიო სოხუმიდან თითქმის ყოველდღე გადის ეთერში და ზუგდიდისა და წალენჯიხის მკვიდრთ მათთვის თვალყურის დევნება შეუძლიათ. აფხაზეთის საფეხბურთო ჩემპიონატის შესახებ წინა ნომერში გაუწყეთ. ახლა, ეტყობა, ჯერი ნაკრებზეა. წინა კვირას აფხაზეთს ტრაპიზონის ერთ-ერთი გუნდი სწვევია, რომელიც თურქეთის ჩემპიონატის მეოთხე დივიზიონში გამოდის. სტუმრებს სამი მატჩი უთამაშიათ: 22 ოქტომბერს „ერცახუსთან", 23-ში გუდაუთაში „რიწასთან", 24-ში აფხაზეთის ჩემპიონ სოხუმის „დინამოსთან".

სეპარატისტები იმასაც იუწყებიან, ადილეს სპორტკომიტეტის თაოსნობით ოქტომბრის ბოლოს მაიკოპში ეწყობა ვეტერან ფეხბურთელთა, ხელბურთელთა და კალათბურთელთა ტურნირები, რომლებშიც აფხაზებიც გამოვლენო.

და ბოლოს, აფსუათა ტელევიზიის ცნობით, 1-4 ნოემბერს კრასნოდარში გაიმართება ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირი ბელარუსის, მოლდოვას, ყაზახეთის და აფხაზეთის ნაკრებების მონაწილეობით. რუსეთის ჩემპიონატსა ან უფრო მეტი, ევროპის ტურნირებში მონაწილეობაზეც ხომ არ ოცნებობენ აფხაზები? აკი არც ადრე მალავდა სოხუმის „დინამოს" პრეზიდენტი ვლადიმერ მიქამბა (აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) საფეხბურთო აფხაზეთის „ცისფერ ოცნებას" — ფიფასა და უეფას გაწევრიანებას.

თენგიზ პაჭკორია.

საგანგებოდ „სარბიელისთვის"

## გერმანია

X ტური. 21-23 ოქტომბერი. ჰამბურგი — მიონხენგლადბახი 1:2, კიოლნი — ბოხუმი 2:1, მიუნხენ 1860 — ფრაიბურგი 4:0, დუისბურგი — ლევერკუზენი 0:2, ურდინგენი — შალკე 1:1, შტუტგარტი — კარლსრუე 4:0, დორტმუნდი — ბაიერნი 1:0, აინტრახტი — დინამო 2:0, კაიზერსლაუტერნი — ვერდერი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 10 | 7 | 2 | 1 | 26-10 | 16 |
| ვერდერი | 10 | 6 | 3 | 1 | 20-12 | 15 |
| ლევერკუზენი | 10 | 4 | 4 | 2 | 21-13 | 12 |
| გლადბახი | 10 | 4 | 4 | 2 | 19-13 | 12 |
| ბაიერნი | 10 | 4 | 4 | 2 | 20-15 | 12 |
| შტუტგარტი | 10 | 5 | 2 | 3 | 21-17 | 12 |
| კაიზერსლაუტ. | 10 | 4 | 4 | 2 | 17-13 | 12 |
| ჰამბურგი | 10 | 5 | 2 | 3 | 16-12 | 12 |
| ფრაიბურგი | 10 | 5 | 2 | 3 | 19-16 | 12 |
| კარლსრუე | 10 | 4 | 3 | 3 | 19-18 | 11 |
| აინტრახტი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-16 | 10 |
| შალკე | 10 | 2 | 5 | 3 | 12-13 | 9 |
| დინამო | 10 | 3 | 2 | 5 | 11-16 | 8 |
| კიოლნი | 10 | 2 | 4 | 4 | 16-22 | 8 |
| ურდინგენი | 10 | 1 | 5 | 4 | 9-14 | 7 |
| ტსვ მიუნხენი | 10 | 1 | 3 | 6 | 11-19 | 5 |
| ბოხუმი | 10 | 2 | 1 | 7 | 11-26 | 5 |
| დუისბურგი | 10 | 0 | 2 | 8 | 7-22 | 2 |

## ესპანეთი

VIII ტური. 22-23 ოქტომბერი. სელტა — ატლეტიკო 1:0, ოვიედო — სევილია 1:0, ვალიადოლიდი — სოსიედადი 1:1, ბარსელონა — ტენერიფე 1:0, ატლეტიკი — სპორტინგი 2:0, ლა კორუნია — ვალენსია 3:1, ალბასეტე — რასინგი 2:0, ლოგრონიესი — ესპანიოლი 1:1, ბეტისი — სარაგოსა 0:1, რეალი — კომპოსტელა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია | 8 | 5 | 3 | 0 | 15-8 | 13 |
| რეალი | 8 | 5 | 2 | 1 | 17-6 | 12 |
| სარაგოსა | 8 | 5 | 2 | 1 | 16-10 | 12 |
| ბარსელონა | 8 | 5 | 1 | 2 | 15-9 | 11 |
| ატლეტიკი | 8 | 4 | 2 | 2 | 7-8 | 10 |
| ბეტისი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-5 | 9 |
| ტენერიფე | 8 | 3 | 3 | 2 | 9-6 | 9 |
| სპორტინგი | 8 | 4 | 1 | 3 | 10-13 | 9 |
| ესპანიოლი | 8 | 2 | 4 | 2 | 12-9 | 8 |
| ვალენსია | 8 | 4 | 0 | 4 | 11-11 | 8 |
| სელტა | 8 | 2 | 4 | 2 | 6-9 | 8 |
| ალბასეტე | 8 | 2 | 3 | 3 | 11-12 | 7 |
| სევილია | 8 | 2 | 3 | 3 | 3-7 | 7 |
| კომპოსტელა | 8 | 2 | 3 | 3 | 7-12 | 7 |
| ვალიადოლიდი | 8 | 2 | 3 | 3 | 5-12 | 7 |
| სოსიედადი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-11 | 6 |
| ატლეტიკო | 8 | 2 | 1 | 5 | 14-13 | 5 |
| ოვიედო | 8 | 2 | 1 | 5 | 9-14 | 5 |
| რასინგი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-11 | 4 |
| ლოგრონიესი | 8 | 0 | 3 | 5 | 3-12 | 3 |

## იტალია

VII ტური. 23 ოქტომბერი. კრემონეზე — იუვენტუსი 1:2, ფიორენტინა — პადოვა 4:1, ფოჯა — ინტერი 0:0, ჯენოა — ლაციო 1:2, მილანი — სამპდორია 0:0, ნაპოლი — ბარი 3:0, პარმა — რეჯანა 2:1, ტორინო — ბრეშია 2:0, რომა — კალიარი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარმა | 7 | 5 | 1 | 1 | 14-7 | 16 |
| რომა | 7 | 4 | 3 | 0 | 13-5 | 15 |
| ლაციო | 7 | 4 | 2 | 1 | 15-7 | 14 |
| იუვენტუსი | 7 | 4 | 2 | 1 | 8-4 | 14 |
| ფიორენტინა | 7 | 3 | 3 | 1 | 13-9 | 12 |
| ფოჯა | 7 | 3 | 3 | 1 | 10-6 | 12 |
| სამპდორია | 7 | 3 | 2 | 2 | 11-4 | 11 |
| მილანი | 7 | 3 | 2 | 2 | 5-5 | 11 |
| ტორინო | 7 | 3 | 1 | 3 | 8-9 | 10 |
| ბარი | 7 | 3 | 1 | 3 | 5-7 | 10 |
| ინტერი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-4 | 9 |
| კალიარი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-6 | 9 |
| ჯენოა | 7 | 2 | 2 | 3 | 10-12 | 8 |
| ნაპოლი | 7 | 2 | 2 | 3 | 11-15 | 8 |
| კრემონეზე | 7 | 2 | 0 | 5 | 6-11 | 6 |
| პადოვა | 7 | 1 | 1 | 5 | 6-19 | 4 |
| ბრეშია | 7 | 0 | 2 | 5 | 3-11 | 2 |
| რეჯანა | 7 | 0 | 1 | 6 | 4-14 | 1 |

## საქართველოს ჩემპიონატი. I ჯგუფი

IX ტური, 23 ოქტომბერი

### შევარდენი 0:1 სამტრედია

შევარდენი 1906: სიდამონიძე, მჭედლიშვილი, დიმიტრიშვილი, ხვადაგიანი, მესტუმრე, ნადირაძე, ლ. ბერიშვილი, ჭოლოკავა, ცაავა, ფრიდონაშვილი, შუბითიძე

სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე, გუჯაბიძე, ჯელაძე, ჯიშკარიანი, ცომაია, ამაშუკელი, გოგიჩაიშვილი, გოგიტაძე,ს ზ. ჯანაშია, ჩხაიძე

0:1 ჯიშკარიანი (68)

გაფრთხილება: მჭედლიშვილი, ჭოლოკავა

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### გურია 4:3 ტორპედო

გურია: კუნჭულია, კოროტკოვი, თევზაძე, რუხაძე, ბუცურეიშვილი, სიხარულიძე, ნარიაშვილი, გამცემლიძე, გოგოლაძე, ყულეჯიშვილი (ხართიშვილი 73), კანტიძე (ლორია 46)

ტორპედო: ნიშნიანიძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ბზიკაძე (გიორგობიანი 46), ვოსკანოვი, ნოზაძე (სადილიანი 46), სუხიაშვილი, ხუნდაძე, მეგრელაძე, მალლაკელიძე, თურმანიძე

0:1 მეგრელაძე (2), 1:1 კანტიძე (10), 2:1 ყულეჯიშვილი (18), 2:2 სუხიაშვილი (41), 2:3 გიორგობიანი (55), 3:3 ბუცურეიშვილი (60), 4:3 ხართიშვილი (78)

პენალტი ვერ გაიტანა მ. თევზაძემ (58)

გაფრთხილება: შეყრილაძე

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

### მარგვეთი 0:2 კოლხეთი

მარგვეთი: ნიქაბერიძე, ქადაგიძე, მალლაკელიძე, ლანჩავა, ღონლაძე, აფციაური, გაბრიჭიძე, კაციაშვილი, ტონია, ენდელაძე, ფოცხვერაშვილი (მაჭავარიანი 70)

კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, ინიაშვილი (მახარაძე 46), დანელია, გიგატაძე, მაჭავარიანი, კიკლიაშვილი, ჯავაშვილი, ჯულელი, ღაღანიძე (დარასელია 55), გიორგაძე

0:1 მახარაძე (52), 0:2 დარასელია (90)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### ივერია 3:1 კახეთი

ივერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, სამხარაძე, ნოზაძე, ლაცაბიძე, ტყემალაძე, ლურსმანაშვილი, გაგუა (ჩადუნელი 20), მარლიშვილი, ქობელაშვილი, ნიკლაური

კახეთი: გვარამაძე, შალამბერიძე (ბაბულაიძე 75), კაციტაძე, სანადირაძე, სოლოღაშვილი, ჭერიტიძე, ლუდუშაური, კანდელაკი, კალუჟა (სირაძე 60), მაისურაძე, ვაზაგაშვილი

0:1 ლუდუშაური (5), 1:1 ქობელაშვილი (37), 2:1 ნიკლაური (54), 3:1 მარლიშვილი (78 პ)

გაფრთხილება: ჭერიტიძე, ნოზაძე

მსაჯი: ო. მაჭარაძე (ხონი)

### ზუგდიდი 3:0 საპოვნელა

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, დ. კაკუბავა, კვარაცხელია, გაბედავა, დარასელია, გაბისონია (კუტალია 64), გუგუჩია (წიტაიშვილი 75)

საპოვნელა: ქათამაძე, კუხიანიძე, ხვედელიძე, ჭულუხაძე, ხვარეშია, უკლება, ჩინჩალაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, თევზაძე

1:0 ძალამიძე (26), 2:0 დარასელია (63), 3:0 კვარაცხელია (79)

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

### ბათუმი 4:0 დურუჯი

ბათუმი: ბალაძე, ფუტკარაძე, შანიძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ლლონტი, უჯმაჯურიძე (ტულუში 66), ამბიძე

დურუჯი: ალავიძე, მოსიაშვილი, ყანჩაშვილი, ელოშვილი, ჭაჭუა, ლობჟანიძე (წიწრიაშვილი), თოლორდავა, ყაჩლავაშვილი (ქარენაშვილი), პოზოიანი, გ. [illegible]

1:0 მაჭუტაძე (56), 2:0 [illegible] (72), 3:0 ამბიძე (76) 4:0 თორლაშვილი (77)

მსაჯი: [illegible] (გორი)

მეტალურგი — სამგურალი არ შედგა. სამგურალმა თამაშზე დააგვიანა.

VIII ტურის მატჩში „გურიას" გამოუცხადებლობისთვის ჩაეთვალა წაგება „კოლხეთი 1913"-თან — 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 9 | 7 | 1 | 1 | 25-9 | 22 |
| დინამო | 9 | 6 | 2 | 1 | 42-11 | 20 |
| ბათუმი | 9 | 6 | 0 | 3 | 25-13 | 18 |
| კოლხეთი | 9 | 6 | 0 | 3 | 19-9 | 18 |
| ტორპედო | 9 | 5 | 1 | 3 | 14-12 | 16 |
| მეტალურგი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-5 | 14 |
| გურია | 9 | 4 | 2 | 3 | 18-20 | 14 |
| დილა | 9 | 3 | 3 | 3 | 5-7 | 12 |
| ზუგდიდი | 9 | 3 | 2 | 4 | 18-15 | 11 |
| შევარდენი | 9 | 3 | 2 | 4 | 14-14 | 11 |
| ივერია | 9 | 3 | 2 | 4 | 12-12 | 11 |
| დურუჯი | 9 | 3 | 0 | 6 | 11-29 | 9 |
| კახეთი | 9 | 2 | 3 | 4 | 6-15 | 9 |
| მარგვეთი | 9 | 2 | 2 | 5 | 5-24 | 8 |
| საპოვნელა | 9 | 1 | 2 | 6 | 7-22 | 5 |
| სამგურალი | 8 | 0 | 2 | 6 | 7-22 | 2 |

### II ჯგუფი. აღმოსავლეთი

IX ტური, 23, 24 ოქტომბერი. არაგვი — ანცი-ზოოვეტი 2:2, გვარდია — ქიზიყი 0:0, მერანი-ბაჩო — შირაქი 0:2, მესხეთი — ასკ 3:0, მერანი-91 — სიონი 1:1, თორი — მრეტები 0:0, ჭაბუკიანი — ალაზანი 1:0, ავაზა-კრწანისი — აზოტი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 8 | 7 | 1 | 0 | 31-7 | 22 |
| გვარდია | 9 | 5 | 1 | 3 | 12-11 | 16 |
| შირაქი | 9 | 4 | 1 | 4 | 13-14 | 13 |
| ჭაბუკიანი | 9 | 4 | 0 | 5 | 8-8 | 12 |
| ანცი-ზოოვ. | 6 | 3 | 3 | 0 | 12-3 | 12 |
| მერანი-91 | 8 | 3 | 3 | 2 | 14-7 | 12 |
| მერანი-ბაჩო | 9 | 3 | 3 | 3 | 13-14 | 12 |
| მესხეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 15-16 | 11 |
| ქიზიყი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-11 | 11 |
| ალაზანი | 9 | 3 | 1 | 5 | 11-15 | 10 |
| არაგვი | 8 | 2 | 4 | 2 | 10-7 | 10 |
| აზოტი | 8 | 2 | 4 | 2 | 9-11 | 10 |
| თორი | 9 | 2 | 3 | 4 | 13-20 | 9 |
| ასკ | 9 | 2 | 1 | 6 | 6-19 | 7 |
| ავაზა-კრწან. | 9 | 1 | 4 | 4 | 9-20 | 7 |
| მრეტები | 5 | 1 | 1 | 3 | 3-10 | 4 |

### II ჯგუფი. დასავლეთი

XII ტური, 20 ოქტომბერი. მეშახტე — ბახმარო 3:2

IX ტური 23, 24 ოქტომბერი. საჩინო — ეგრისი 0:5, იმერეთი — სულორი 1:1, მეშახტე — სამეგრელო 3:1, კახაბერი — მერცხალი 1:3, ბახმარო — შუქურა 3:0, უნივერსიტეტი — მალაროელი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეშახტე | 9 | 7 | 1 | 1 | 21-6 | 22 |
| ეგრისი | 9 | 7 | 1 | 1 | 20-5 | 22 |
| მერცხალი | 9 | 7 | 0 | 2 | 18-7 | 21 |
| ბახმარო | 9 | 5 | 1 | 3 | 21-12 | 16 |
| კახაბერი | 8 | 5 | 1 | 2 | 12-12 | 16 |
| სამეგრელო | 8 | 4 | 0 | 4 | 8-9 | 12 |
| უნივერსიტეტი | 8 | 4 | 0 | 4 | 11-13 | 12 |
| სულორი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-10 | 11 |
| მალაროელი | 9 | 3 | 1 | 5 | 14-16 | 10 |
| სქური | 8 | 2 | 2 | 4 | 15-17 | 8 |
| იმერეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 10-14 | 7 |
| შუქურა | 9 | 1 | 0 | 8 | 9-24 | 3 |
| საჩინო | 8 | 0 | 0 | 8 | 2-24 | 0 |

### III ჯგუფი

VII ტური. 23, 24 ოქტომბერი. იბერია (ქ) — ნიკეა 6:0, მადნეული — რწმენა 1:8, ყინერი — იბერია (თბ) 1:5, ცხინვალი — იმედი 3:0, ენერგეტიკოსი — პროგრესი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია (ქ) | 7 | 5 | 2 | 0 | 15-1 | 17 |
| ყინერი | 7 | 5 | 1 | 1 | 22-13 | 16 |
| რწმენა | 7 | 5 | 1 | 1 | 15-5 | 16 |
| იბერია (თბ) | 7 | 4 | 2 | 1 | 24-5 | 14 |
| ენერგეტიკოსი | 7 | 3 | 2 | 2 | 17-5 | 11 |
| ცხინვალი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-7 | 11 |
| ნიკეა | 7 | 1 | 2 | 4 | 6-19 | 5 |
| პროგრესი | 7 | 1 | 1 | 5 | 11-18 | 4 |
| იმედი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-22 | 3 |
| მადნეული | 7 | 0 | 1 | 6 | 8-37 | 1 |

# ტოტოლოტო

| ტირაჟი 17, 2 ნოემბერი | |
|---|---|
| 1 | გალათასარაი — გიოტებორგი |
| 2 | ბარსელონა — მ. იუნაიტედი |
| 3 | პსჟ — დინამო კიევი |
| 4 | სტიაუა — ბენფიკა |
| 5 | ანდერლეხტი — პაიდუკი |
| 6 | ბაიერნი — სპარტაკი (0:1) |
| 7 | მილანი — აეკ (0:1) |
| 8 | აიაქსი — კაზინო (0:1) |
| 9 | აინტრახტი — კაზინო |
| 10 | ოდენსე — კაიზერსლაუტერნი |
| 11 | ატლეტიკი — ნიუკასლი |
| ჩაბარების ბოლო ვადა 1 ნოემბერი | |

| ტირაჟი 18, 5-6 ნოემბერი | |
|---|---|
| 1 | მილანი — პარმა |
| 2 | ჯენოა — ინტერი |
| 3 | რომა — ნაპოლი |
| 4 | ტორინო — იუვენტუსი |
| 5 | ფიორენტინა — ბარი |
| 6 | რეჯანა — ლაციო |
| 7 | კრემონეზე — სამპდორია |
| 8 | ფოჯა — კალიარი |
| 9 | პადოვა — ბრეშია |
| 10 | ჰამბურგი — ლევერკუზენი |
| 11 | დორტმუნდი — ვერდერი |
| ჩაბარების ბოლო ვადა 3 ნოემბერი | |

**ყურადღება!**

10 შედეგის გამომცნოებს მომდევნო ტირაჟში უფლება ექნებათ 6000 მანეთის ან 240 000 კუპონის შესატყვისი ვარიანტები უფასოდ ითამაშონ, ხოლო იმ მოთამაშეებს, რომლებიც სხვადასხვა ტირაჟში გამოიცნობენ 10 შედეგს, მიეცემათ სანუგეშო პრემია 50 000 მანეთი ან 25 მილიონი კუპონი. ახალ დებულება ძველთან ერთად ძალაშია მე-14 ტირაჟიდან.

## კალათბურთი

# სამს ვიცნობთ, ერთი ახალია

### საქართველოს ჩემპიონატი

სამშაბათი, 25 ოქტომბერი

**თორსი — გეორგიკა 93:91 (49:38)**

თორსი: ი. თორთლაძე (35), გ. ჩხეიძე (19), ქევხიშვილი (21), თ. ცაგარეიშვილი (3), ხარაძე (8); მიქაძე (7), ფიცხელაური.
გეორგიკა: ჩიქოვანი (19), გაჩეჩილაძე (8), ძიძიგური (15), ჩაჩხიანი (6), ჭეიშვილი (6); ბოჭორიშვილი, ეგუტია (27), ი. დიხამიძე (7), კობიძე (3).
მსაჯები: ო. ლებანიძე, ა. როსტომაშვილი

საყოველთაო ნგრევისა და დაშლის პერიოდში ახალ რამეს თუ შექმნი, უთუოდ დასაფასებელია. პატივისცემის მეტს რას იმსახურებს თბილისის „გეორგიკა", გუნდი, რომელიც სამშაბათს პირველად გამოჩნდა საქართველოს ჩემპიონატში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის 32 წლის თანამშრომელმა, პედაგოგმა ნუგზარ კანდელაკმა ათი-თორმეტი ქალაქელი ბიჭი შეკრიბა, ვარჯიში დააწყებინა, მეგობართა დახმარებით გუნდი ჩამოაყალიბა და აგერ უკვე პირველი ოფიციალური მატჩიც ათამაშა. ვერ ვიტყვით, რომ გეორგიკელებმა რაღაც განსაკუთრებული გააკეთეს, მაგრამ გულიანად ითამაშეს და შედარებით გამოცდილ „თორსს" ლამის მოუგეს კიდეც.

„თორსი" რომ დავით თორთლაძის გუნდი იყო, ამ დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. ახლა იგი „კაქტუსში" გადავიდა და თორსელებს სფუძვლიანად გაუჭირდათ. თუმცა ლიდერობა ექს-ლიდერის ძმამ, ირაკლიმ იკისრა და მისი დამსახურებაცაა, რომ „თორსმა" გამარჯვება გამოგლიჯა გაბედულ დებიუტანტს. „გეორგიკას" რიგებში გამოირჩეოდა კოკა ეგუტია, რომელიც კალათბურთის თამაშს ამერიკაში სწავლის დროს გასცნობია.

**დინამო — შევარდენი 89:37 (44:21)**

დინამო: დარსაძე (5), ცხვედიანი (4), ქარაბაკი (17), ფერიაშვილი (19), სხიერელი (2); დავითულიანი (6), გ. ვაშაკიძე (4), ზ. ცაგარეიშვილი (7), გოგუა, კილაძე (15), მაისურაძე (8), სამხარაძე (2).
შევარდენი: ფიოდოროვი (2), მაჭავარიანი (27), ისაკაძე, თაბუაშვილი (2), გურგენიძე; ესიტაშვილი (4), ლვინეფაძე (2), სართანია, დავარაშვილი, ქავთარაძე, სადუნიშვილი.
მსაჯები: რ. გელოვანი, ვ. ჭოტაშვილი



„შევარდენის" 37 ქულიდან 27 მაჭავარიანმა ჩააგდო, მაშინ როცა დინამოელები ხუთ-ხუთკაციან ცვლილებებს აკეთებდნენ. ასეთ მატჩის კომენტარი ზედმეტად მიგვაჩნია. ერთს დავძენთ, „შევარდენმა" საქართველოს რეკორდი დაამყარა — ასე ცოტა ქულა აქამდე არცერთ გუნდს არ მოუგროვებია.

ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი

**დინამო — თორსი 110:60 (52:31)**

დინამო: ზ. ცაგარეიშვილი (10), დავითულიანი (2), ქარაბაკი (30), კილაძე (10), გოგუა (5); დარსაძე (12), ცხვედიანი (13), მაისურაძე (7), სამხარაძე (4), სხიერელი (11).
თორსი: ი. თორთლაძე (18), გ. ჩხეიძე (16), ქევხიშვილი (8), თ. ცაგარეიშვილი (2), ხარაძე (6); მიქაძე (3), ფიცხელაური (2), კლაიტონი (3), ლომიძე (2).
მსაჯები: გ. ავალიშვილი, ნ. ჭეიშვილი

**შევარდენი — გეორგიკა 83:62 (39:22)**

შევარდენი: ფიოდოროვი (8), მაჭავარიანი (28), ესიტაშვილი (16), ისაკაძე (17), თაბუაშვილი (6); ლვინეფაძე, გურგენიძე (6), ინაძე (2), ქავთარაძე.
გეორგიკა: ჩიქოვანი (4), გაჩეჩილაძე (7), ძიძიგური (19), ეგუტია (2), ჭეიშვილი (6); ბოჭორიშვილი, ჩაჩხიანი (8), ი. დიხამიძე, დ. დიხამიძე, ბიჭაშვილი, კობიძე (16)
მსაჯები: ს. მალალაშვილი, ლ. ინწკირველი.

# ყველაფერი წინა პარაგრაფში წერია...

**ბალტიისპირეთ — რუსეთიდან დაბრუნებულ „კაქტუსის" მწვრთნელთან თამაზ ოქრუაშვილთან მისი გუნდის მიერ პროფესიული კალათბურთის ერთაშორის ლიგაში გამართულ მატჩებზე გვსურდა გვესაუბრა. მაგრამ საუბარში მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი.**

— „კოლევთან" და „ბროცენისთან" ტალინში გამართული მატჩის შესახებ ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ, მოსკოვის მატჩებზე გადავიდეთ. თავიდანვე ვიტყვი, რომ ძალზე ცუდად ვითამაშეთ, შესაძლებლობებზე გაცილებით უარესად. პირადად მე ამის თაობაზე ასე ვფიქრობ: ტალინში გამართული ორი უმძიმესი მატჩის შემდეგ მოსკოვში 4 დღე გვქონდა თავისუფალი. სავარჯიშო პროცესი სათანადოდ ვერ ავაწყეთ — დარბაზის უქონლობის გამო მხოლოდ ორჯერ ვივარჯიშეთ, ამიტომ, რაც დავგეგმეთ, ვერ შევასრულეთ. ამდენ მგზავრობას და და გადაადგილება-გადმოადგილებასაც გადავეჩვიეთ და ესეც უეჭველად, დაგვეტყო. რაც მთავარია, ცსკა-ც და „სპარტაკიც" ძლიერი გუნდებია და მათთან მოგება ძალზე ძნელია.

ცსკა თითქოს შესუსტებული შემადგენლობით გვეთამაშა — კისურინი და პანოვი არ ჰყავდა. მაგრამ იმ გუნდს შესუსტებულისა არაფერი ეტყობოდა — მეტად თანაბარი შემადგენლობა ჰყავს. თანაც, არ გამოვრიცხავ ჩვენი გუნდის წევრების დაუდევრობას — დაინახეს, ორი ლიდერი არა ჰყავთო და მოეშვნენ. ისე, მე-8 წუთზე ანგარიშში 17:17 იყო.

„სპარტაკთან" მატჩის დასაწყისიც ანალოგიური იყო — ულიმლამო, ფაქტობრივად, დაცვის გარეშე. ტაიმი 23 ქულით წავაგეთ. მეორე ნახევარი რაღაცას დაემსგავსა, ნაცვლიშვილმა იმათი ამერიკელი მოედნიდან გააგდო. ბიჭები გაიხსნენ, ტაიმი 11 ქულით მოიგეს, მაგრამ საბოლოოდ 12 ქულით მაინც დავმარცხდით.

**— დიდი სხვაობაა ცსკა-სა და „სპარტაკს" შორის?**

— თითქმის არავითარი. ჩვენს თამაშებამდე სამი დღით ადრე ისინი ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის ჩემპიონატში. 37-ე წუთამდე ანგარიში თანაბარი იყო და ცსკა-მ მერეღა გატეხა მეტოქე, პირველ რიგში, ფიზიკური მომზადებით.

**— ლიგის კომისართან სერგეი ჟურავლიოვთან შეხვედრისას თუ დასახეთ სამომავლო გეგმები?**

— ლიგას ჯერჯერობით უამრავი თავსატეხი აქვს. პირველ რიგში — პარალელური სტრუქტურები, ანუ მონაწილეთა ეროვნული ჩემპიონატები და ევროთასები. ამის გამო მისი კალენდარი არამყარი და არასტაბილურია — ჯერ ისიც არ ვიცით, მომდევნო მატჩებს სად და როდის ვითამაშებთ. ყოველ შემთხვევაში, ნოემბერში რუსეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები აქვს, ცსკა-ს და „სპარტაკს" ევროთასები, ბალტიელებსაც თავისი გეგმები აქვთ — თამაშები ალბათ დეკემბერში განახლდება.

თავად ჟურავლიოვი კარგი, ინტელიგენტი და საქმიანი კაცია. ბევრს ფიქრობს კალათბურთზე და მის ინტეგრაციაზე, მაგრამ გარემოცვა ჰყავს საშინელი — ძველი თაობის ბიუროკრატი მგლები, ყველაფერს რომ ამუხრუჭებენ. ჟურავლიოვს გადაწყვეტილი აქვს, ლიგის მომავალ გათამაშებაში ევროპული გუნდებიც მოიწვიოს. ევროთასების სისტემა ბევრ კლუბს არ აწყობს — წამგებიანია, შეიძლება ორი მატჩის შემდეგ გამოვარდე. აქ კი თამაშების გარკვეულ რაოდენობას უეჭველად ჩაატარებ და არც მატერიალურად წააგებ.

**— ლიგა ქართული კალათბურთის გარესამყაროსთან კონტაქტის ერთ-ერთი საშუალებაა. ამის სხვა საშუალება ხომ არ გამოჩენილა?**



— იცით, იმ ტერიტორიას, ყოფილი საბჭოთა კავშირი რომ ჰქვია, აღარ ხიბლავს ჩვენთან ურთიერთობის პერსპექტივა. ნაკლებ ყურადღებას გვაქცევენ. მათთვის დასავლეთის ჭიშკარი გაიღო და თვალიც იქითკენ უჭირავთ. მაგალითად, ცსკა-ს ან „ბროცენის" არაფრად ულირს შეკრების მოწყობა იტალიაში ან ესპანეთში. თანაც, აღარც ჩვენი დონე აკმაყოფილებთ. ევროპა არც ჩვენ გაწყენდა, მაგრამ ვერც იქ შევდგით ფეხი.

**— ესე იგი, რა გამოგვდის — ევროპაში ვერ გავდივართ, ყოფილ საბჭოთა კავშირს არ ვუნდივართ. რაღა ვქნათ?**

— თუ ჩვენთვის ვისხდებით და არ ვიაქტიურებთ, არც ევროპას მოვუნდებით, არც სხვას. ქართული კალათბურთი დგას გლობალური საშიშროების წინაშე: ცოტა ხანში არათუ მოწინავე, სისტემატური კონტაქტები რომ გვქონდა, იმ ქვეყნებსაც ალბათ საბოლოოდ ჩამოვრჩებით. ჩვენ მძიმე სოციალურ პირობებში ვცხოვრობთ. შედარებისთვის: როცა ჩვენ ბურთი გვაქვს სანთლით საძებნელი, სხვები ამერიკაში მოთამაშეებს ეძებენ, „სპარტაკმა" კი იუგოსლაველი მწვრთნელი ჩამოიყვანა. მაგრამ ეგრეც არ არის. კაცს როცა უჭირს, მაშინ უნდა გაინძრეს. გასაგებია, რომ სხვაზე ნაკლები შესაძლებლობები გვაქვს, მაგრამ რა, არ ვითამაშოთ კალათბურთი? ჩვენ ძნელად ვშოულობთ ბურთს, მაგრამ ხომ ვშოულობთ. ესე იგი, მეტი გარჯა გვმართებს. ამ ეტაპზე თუ არ ვიშრომეთ და მარტო ეს ვიძახეთ — არა გვაქვს, გვიჭირს, გვშია, გვწყურია, უფრო მეტად ჩამოვრჩებით. ქართულ კალათბურთში დადგება კრიზისი, რასაც იმისთანა ვაკუუმი მოჰყვება, ვერაფერი რომ ვერ ამოავსებს. ისედაც მცირე არჩევანი გვაქვს და, თუ ჩვენი უგერგილობა გაჭირვებას დავაბრალეთ, რაღა გამოვა? ხელფასი არ არის, ჩასაცმელი არ არის, ცხელი წყალი არ არის — ყველაფერი ეს ვიცით, წინა პარაგრაფში წერია. უნდა ვნახოთ, რა გვაქვს. თუ არაფერი გვაბადია, სწორედ არქონიდან უნდა ავიღოთ სტარტი და ასე, მშივრებმაც და მწყურვალებმაც მაინც უნდა გავაკეთოთ საქმე.

**მერაბ რატიშვილი**

პროფესიული კალათბურთის ერთაშორისი ლიგა.
ცსკა მოსკოვი, რუსეთი — კაქტუსი 92:56 (48:35)
მოსკოვი, ცსკა-ს უნივერსალური დარბაზი, 18 ოქტომბერი

| ცსკა | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 ტოდოროვიჩი (კ) | 9 | 1 | 2 | — | 2 | 1 | 2 |
| 5 ედი | 6 | 8 | — | 1 | — | — | 4 |
| 8 კორნევი | — | 3 | — | 1 | 2 | — | 5 |
| 9 მორგუნოვი | 12 | 3 | 1 | — | 2 | 2 | 1 |
| 10 ვადეევი | 21 | 3 | 4 | — | 9 | 7 | 1 |
| 11 კურაშოვი | 5 | 6 | 1 | 2 | 4 | 3 | 3 |
| 12 კარასიოვი | 18 | 2 | — | — | 1 | 1 | 2 |
| 13 გრეზინი | 4 | 6 | 1 | — | 2 | 2 | 2 |
| 14 სპირიდონოვი | 14 | 7 | 2 | — | 4 | 2 | 3 |
| 15 საფრონოვი | 3 | 1 | 2 | — | 2 | 1 | 2 |
| სულ | 92 | 40 | 13 | 4 | 28 | 19 | 25 |

| კაქტუსი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 თორთლაძე | 6 | — | 1 | — | 4 | 3 | 2 |
| 6 ულენტი (6) | 3 | — | 3 | — | 2 | 1 | — |
| 7 ხოშტარია | — | — | — | — | — | — | — |
| 8 შენგელია | 15 | 8 | 2 | 1 | 8 | 5 | 4 |
| 9 მაჭარაძე | — | — | — | — | — | — | 1 |
| 10 ახვლედიანი | 3 | 1 | — | — | — | — | 3 |
| 11 ოთიურიძე | — | — | — | — | — | — | 2 |
| 12 აბრამიძე | — | 1 | — | — | — | — | — |
| 13 ნაცვლიშვილი | 14 | 3 | 1 | — | 9 | 6 | 1 |
| 14 ბერძენიშვილი | 6 | 4 | — | — | 2 | 2 | 3 |
| 15 ჩხეიძე | 9 | 6 | 2 | — | 2 | 1 | 5 |
| სულ | 56 | 23 | 9 | 1 | 27 | 18 | 21 |

პროფესიული კალათბურთის ერთაშორისი ლიგა.
სპარტაკი მოსკოვი, რუსეთი — კაქტუსი 97:85 (53:30)
მოსკოვი, ცსკა-ს უნივერსალური დარბაზი, 19 ოქტომბერი

| სპარტაკი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7. კონდრატოვი | 17 | 3 | — | — | 2 | 1 | 5 |
| 8 გუსევი (კ) | 12 | 1 | — | — | 4 | 3 | 3 |
| 9 ვორდი | 14 | 5 | — | — | 6 | 5 | 5 |
| 10 ტერნერი | 20 | 5 | 1 | — | 4 | 3 | 1 |
| 11 ფილიპოვი | 9 | 5 | — | — | 4 | 3 | 2 |
| 12 ჩაპლიგინი | 3 | — | — | — | 4 | 3 | 1 |
| 13 ბურაკოვი | — | 1 | 1 | — | — | — | 5 |
| 14 დიომინი | 3 | 3 | — | — | 2 | 1 | 3 |
| 15 ვოლოხოვი | 19 | 4 | 1 | — | 9 | 7 | 5 |
| სულ | 97 | 27 | 3 | — | 35 | 26 | 30 |

| კაქტუსი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 თორთლაძე | 16 | 4 | — | — | 2 | 1 | 3 |
| 6 ულენტი (6) | 13 | 3 | — | — | 12 | 7 | 3 |
| 7 ხოშტარია | — | — | — | — | — | — | 1 |
| 9 მაჭარაძე | 4 | 1 | — | — | — | — | 3 |
| 10 ახვლედიანი | 4 | 2 | — | — | — | — | 1 |
| 11 ოთიურიძე | 8 | — | — | — | 4 | 4 | — |
| 12 აბრამიძე | 5 | 3 | 1 | — | 4 | — | 2 |
| 13 ნაცვლიშვილი | 21 | 3 | — | — | 12 | 6 | 5 |
| 14 ბერძენიშვილი | 8 | 1 | — | — | 8 | 6 | 4 |
| 15 ჩხეიძე | 6 | 1 | — | — | 2 | 2 | 5 |
| სულ | 85 | 18 | 1 | — | 44 | 26 | 26 |

## სამბო

# გშიათ ბიჭებო!

[illegible] მსოფლიო ჩემპიონატებს ატარებს. საქართველოს წარმომადგენლებმა, მას მერე რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ფმს-ს წევრობა არჩიეს, მაგრამ შარშან ფიას-ში გადაბარგდნენ — ჩათვალეს, რომ ამ უკანასკნელში გაცილებით ძლიერი გუნდები იყვნენ გაერთიანებულნი. ასეთი ნაბიჯი სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმაც გადადგეს.

და აი, სერბიის ქალაქ ნოვი სადში ფიას-ის ეგიდით მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. მასში ლიტვის გარდა ყოფილი სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები, აგრეთვე იაპონიის, აშშ-ის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და მონღოლეთის გუნდები გამოდიოდნენ. ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, პირველობა სამ ასაკობრივ ჯგუფში: ჭაბუკებში, ახალგაზრდებში და მამაკაცთა შორის ჩატარდა. საქართველოს წარომადგენლებმა სამივეში მეტ-ნაკლებ წარმატებას მიაღწიეს. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ახალგაზრდები, რომლებმაც ორ-ორი ოქროსა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რამაც ისინი გუნდურ პირველობაში რუსეთისა და უკრაინის შემდეგ მესმაე ადგილზე გაიყვანა.

ჩვენი ახალგაზრდა სამბისტებიდან „ოქროს" დაეუფლნენ მესტიელი ნესტორ ხერგიანი (57 კგ) და კასპელი მამუკა ჯანაშვილი (82); ზუგდიდელმა ლაშა ფიფიამ (68) და გორელმა იოსებ ახალბედაშვილმა (100) კი „ბრინჯაო" მოიპოვეს.

ამის მერე იოსებ ახალბედაშვილმა უფროს თანაგუნდელებსაც წააშველა ხელი და იქაც ბრინჯაოსმედალოსანი გახდა. ასეთსავე წარმატებას მიაღწია მცხეთელმა ჯონდო მუზაშვილმაც (74), ხოლო საგარეჯოელმა მამუკა კურდღელაშვილმა (62) და მცხეთელმა არჩილ ჩოხელმა (68) ვერცხლის მედლები მოიპოვეს. აქ გუნდურ პირველობაში პირველი-მეორე ადგილები კვლავ რუსებსა და უკრაინელებს ხვდათ, მონღოლები მესამე ადგილზე გავიდნენ, ჩვენები მეოთხენი იყვნენ.

ჭაბუკთა პაექრობაში ჩვენებმა ერთი „ბრინჯაო" ირგუნეს. ქართველი მამუკა მაზმიშვილის (48) ამ ერთი მედლით ჭაბუკთა გუნდურ პირველობაში რა წარმატებაზე შეიძლებოდა ფიქრი.

საინტერესოა, რომ შარშანდელ ანალოგიურ ჩემპიონატში ჩვენი სამბისტები გაცილებით უკეთ გამოვიდნენ. მაშინ ჩვენმა ჭაბუკებმა და ახალგაზრდებმა გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს, მათმა უფროსმა კოლეგებმა კი მეორე ადგილი დაიკავეს. როგორც საქართველოს სამბოს ფედერაციაში გვითხრეს, შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში უკეთესი შედეგები იმანაც განაპირობა, რომ მაშინ საასპარეზოდ გაცილებით მეტი სამბისტი გაემგზავრა, ახლა კი მხოლოდ თოთხმეტმა კაცმა იასპარეზა. ისინიც საკუთარი თუ თავიანთი მარიფათით ნაშოვნი ფულით გამგზავრებულან, ყოველგვარი შეკრების გარეშე. უფრო მეტიც, მათი უმრავლესობა ჩვენს გუნდში მეორე-მესამე ნომერი ყოფილა, უძლიერესები კი უსახსრობის გამო შინ დარჩენილან. ისიც გვითხრეს, ჩვენს ნახევრადმშიერ სამბისტებს ბრძოლების მერე გულიც მისდიოდათო.

## ხელბურთი

# დიდი გასეირნება

ხელბურთელთა წლევანდელ ევროთასებზე საქართველოდან ვაჟთა ოთხმა და ქალთა ორმა გუნდმა იასპარეზა. თბილისის „მამულის" ამბავი წინა ნომერში გაუწყეთ, დღეს დანარჩენ შედეგებსაც გაცნობებთ.

ქალაქების თასი. „ექსტრანი" (ლიეჟი, ბელგია) — სტუ 22:14 და 34:26. ორივე შეხვედრა ლიეჟში მოეწყო. საერთოდაც, „მამულის" გარდა ყველა ჩვენმა კლუბმა ორივე მატჩი სტუმრად გამართა. პირველი მატჩის მეათე წუთზე თითქმის თანაბარი თამაშისა და ანგარიშის პირობებში მძიმედ დაშავდა სტუ-ს ლიდერი ბექა ორჯონიკიძე. ამან ისე გატეხა თბილისელები, ტაიმის ბოლომდე ბურთი ვეღარ გაიტანეს. მეორე მატჩში ალეკო ბოყოჩაძემ 16 ბურთი გაიტანა.

ფედერაციის თასი. „კილკისი" (საბერძნეთი) — „ამირანი" 24:14 და 26:23. პირველ მატჩში არბიტრებს ისე მიკერძოებით უმსაჯიათ, ჩვენებს პროტესტის ნიშნად მეორეზე გაუსვლელობა დაუპირებიათ, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციის მკაცრი სანქციების შიშით გადაუფიქრებიათ. პირველ ნახევარში აკი 5 ბურთიც უჯობნიათ ბერძნებისთვის, მაგრამ საქმეში კვლავ მსაჯები ჩარეულან და...

ჩემპიონთა თასი. „სტუ-შევარდენმა" სლოვაკეთში 17:30 და 20:30 წააგო ტრნავის „ლოკომოტივთან".

ქალები. თასების თასზე ფოთის „კოლხეთი" დანიაში დამარცხდა „როდოვრესთან" — 33:13 და 36:9, ფედერაციის თასზე „ავტომობილისტმა" (ბროვარი, უკრაინა) გამოთიშა „თბილისი" — 36:15 და 41:13.

ახლახან ვენაში, ევროპის ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში მოეწყო ევროპის საგაისო ჩემპიონატის მონაწილე ვაჟთა და ქალთა ნაკრებების წილისყრა. ვაჟების E ჯგუფში საქართველოს მეტოქეები იქნებიან იტალია, ლიტვა და ფინეთი. აქ გამარჯვებულს შემდგომ ეტაპზე საქმე ექნება დანიელებთან, გერმანელებთან, შვეიცარიელებთან და ამათ დავაში გაირკვევა კონტინენტის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოასპარეზის ვინაობა. ჩვენი ქალები D ქვეჯგუფში ბელარუსის, პოლონეთისა და ბოსნია-ჰერცოგოვინის ნაკრებებს ეთამაშებიან, აქ უძლიერესს კი საფრანგეთის, სლოვენიის და მაკედონიის გუნდები ელიან. ვაჟები ტურნირს გაისად, თებერვალში დაიწყებენ, ქალები — ოქტომბერში.

ორიოდ კვირაში კი საქართველოს ხელბურთელი ვაჟები V ეროვნულ ჩემპიონატს იწყებენ. 6 გუნდი 6 ან 8 ტურში გაარკვევს ჩემპიონის ვინაობას. ესენია: სტუ, „ამირანი", „მამული", „ქარიშხალა", „მართვე", „სამტრედია".

**ზვიად ჟათირიშვილი**

# ლეიტი ისევ შარში გაეხვია

წინა კვირაში ქვეყნიერების დასალიერში — კანადის უკიდურეს დასავლეთ ქალაქ ვანკუვერში უქართველებოდ ჩატარდა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) მორიგე საყოველთაო კრება. ჩვენების არყოფნის მიზეზი პროზაულია: საქართველოს რაგბის კავშირს საწევრო 150 გირვანქა მეორე წელია არ გადაუხდია.

კრებას ირბ-ის სხდომაც მოჰყვა. მსოფლიო რაგბის მამებმა იმსჯელეს და დაადგინეს, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ) რაგბის ოლიმპიურ სახეობად ცნობა სთხოვონ. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ირბ-ს რაგბის ოლიმპიადებში შეტანა სურდეს. საქმე პირიქითაა, მიმართვის მიზეზი კი ისაა, რომ ბოგანო ქვეყნების მთავრობები ოლიმპიურ სახეობებს გამორჩეულად სწყალობენ, რის გამოც რაგბი ბევრგან დაჩაგრულია.

იმავე სხდომაზე მორიგ შარში გაეხვია სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტი და **საგაისო** მსოფლიო თასის საორგანიზაციო კომიტეტის შეფი დოქტორი ლუი ლეიტი. მას ინტერვიუ მიუცია ინგლისურ ჟურნალ „რაგბი ველდისათვის", სადაც ირბელი კოლეგები გაუშაყირებია, აქაო და 1991 წლის მსოფლიო თასის დროს საქმის კეთების ნაცვლად ის აფიქრებდათ, ლერბიანი სმოკინგები როგორ ჩაეცვათ, ბანკეტებზე სად მიბრძანებულიყვნენ და ფინალზე დედოფალ ელისაბედის მახლობლად დამსხდარიყვნენო.

მსოფლიო რაგბის მამებს არ მოსწონებიათ ენამწარე ტრანსვაალელი მილიონერის ქილიკი და მისთვის რაგბისთვის სახელის გატეხვა დაუბრალებიათ, მაგრამ რაკი პიროვნებას ვერ დასჯიან, ლეიტისავე კავშირისათვის დაუვალებიათ, გამოიძიეთ თქვენი პრეზიდენტის საქმეო. ირბ-ს თურმე ის უკლავს გულს, რომ ლეიტს ამ ორგანიზაციის მოყვარულობის კანონები ფარატინა ქაღალდად უქცევია და შინ ქარრის თასის გათამაშებაში მოთამაშეებსა და მსაჯებს იმდენ ფულს აჩვეჩინებს, ნაღდ პროფესიონალებს რომ ერგებათ.

ამასობაში სამხრეთაფრიკელი „ქურციკები" ჭიჩ ქრისთის მეთაურობით ბრიტანეთში ჩასულან. სტუმრებს აკლიათ ნატალის გარემარბი ჭეიმზ სმოლი, რომელსაც უამრავი შეპირების მიუხედავად ზნე მაინც ვერ შეუცვლია და 8 ოქტომბერს პორტ-ელიზაბეთში არგენტინის ძლევის შემდეგ მთვრალი ღამის ბარში მორიგ მუშტი-კრივში ჩაბმულა.

(I თამაში) შაბათი, 22.X. კარდიფის „არმზ პარკი". „კარდიფი" 6 (6) (2ს: ა. დევისი 10', ჯონი 29') — სამხრეთი აფრიკა 11 (0) (ლ: ი. ვარდერვესტჰოიზენი 47'; 2ს: სტრანსკი 56', 81')

„ქურციკებს" კარდიფში 25 წელი იყო არ ეთამაშათ. მათ აკლდათ კაპიტანი, ფრთის მორკინალი პინარი, რომელიც წარა-მარა უშავდებათ. წვიმდა. სტუმართა 9 ნომერმა რაქიდან მიიღო ბურთი, ნახევარი „კარდიფი" მოატყუა და მატჩის ერთადერთი ლელოც გაიტანა.

შაბათსვე ინგლისში საკლუბო ჩემპიონატის VII ტური მოეწყო. ბასში იქაურმა კლუბმა ვერ მოუგო ლესტერისას, თუმცა ერთი პირობა 17:9 დაწინაურებულიყო. ფრე 20:20. „ბასი" და „ლესტერი" 13-13 ქულით ლიდერობენ და 5 ქულით უსწრებენ სამ მდევარს: „ბრისტოლს", „ორელსა" და ლონდონის „ვოსფსს".

ინგლისმა გამოაქვეყნა შემადგენლობა, რომლითაც 12 ნოემბერს თვიქნემში რუმინეთს ეთამაშება. თხუთმეტეულში მოხვდნენ ჰალი; თ. ანდერვუდი, გასქოთი, ქარლინგი, რ. ანდერვუდი; ენდრიუ, მორისი; ლენარდი, მური, უბოგუ; ჯონსონი, ბეიფილდი; როდბერი, ოჯომო, კლარკი. ჰალი, უბოგუ და ოჯომო ზანგები არიან, გასქოთი მულატია, ანდერვუდები კი მალაელები არიან. გასქოთს ტრავმა მოურჩა და წელიწადნახევრის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა. რვა ნომრად ვეტერან რიჩარდსს ამჯობინეს ბენ კლარკი, აქაო და გაისად სამხრეთი აფრიკის ხისტ მოედნებზე ფეხმარდი მორკინალები გვჭირდებაო.

მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში მიმდინარეობს აზიის პირველობა, რომელიც იმავდროულად საგაისო მსოფლიო თასის ბოლო შესარჩევი ტურნირია. იქ ოდენ ჩემპიონი მოხვდება.

„ა" ქვეჯგუფი. 22.X: მალაიზია 23 — შრი ლანკა 18; იაპონია 56 — ტაივანი 5. 24.X: იაპონია 67 — შრი ლანკა 3; ტაივანი 23 — მალაიზია 15. 26.X: იაპონია 97 (15ლ) — მალაიზია 9; ტაივანი 25 — შრი ლანკა 9

„ბ" ქვეჯგუფი. 23.X: კორეა 28 — ჰონკონგი 17; თაილანდი 69 — სინგაპური 5. 25.X: ჰონკონგი 93 (14ლ) — თაილანდი 0; კორეა 90 (13ლ) — სინგაპური 3

რუსეთის თასი მოუგია კალინინგრადის (კენიგსბერგის) „ვესტ-ზვეზდას", რომელიც წლევანდლამდე ტაშკენტის „ზვეზდად" იყო ცნობილი. ფინალში ექს-უზბეკებს 22:21 დაუმარცხებიათ გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მონინო).

ავსტრალიის რაგბის კავშირი მეტად შემოსწყრა ახალი სამხრეთი უელსის რაგბის ლიგას. კავშირის მთავარმა აღმასრულებელმა ბრუს ჰეიმანდმა ლიგელი კოლეგები „მტაცებლებად" მოიხსენია, ვინაიდან ამათ მოუგონიათ ახალი წესები, რომლებიც ლიგის პროფესიულ კლუბებს ერთობ გაუიოლებს ნორჩი მორაგბეების გადაბირებას და „ვოლაბთა" მეტად გაძარცვას: თუ აქამდე ლიგის კლუბებს „ჭერი" ჰქონდათ დაწესებული მოთამაშეთა პირველი წლის ჯამაგირებისათვის, ამიერიდან შეზღუდვა უქმდება და ფულს დახარბებულ ჯეელებს უმალ დიდძალ გასამრჯელოს აღუთქვამენ. რაგბის კავშირი ამ შემთხვევაში უმწეოა, ვინაიდან ირბ-ის ფარისევლურ მოყვარულობის კანონთა გამო მორაგბეთა ლიანგს ფულს ცხადად და აშკარად ვერც აძლევს და ვერც აშოვნინებს.

დიდი ტურნე მიმდინარეობს ლიგის რაგბშიც: მსოფლიო ჩემპიონები — ავსტრალიის „კენგურუები" ბრიტანეთში სტუმრობენ.

I ტესტი. შაბათი, 22.X. ლონდონი. „უემბლი". 55 000 მაყურებელი. დიდი ბრიტანეთი 8 (6) (გ და ლ: ჯ. დევისი; გ: გულდინგი) — ავსტრალია 4 (0) (ლ: რენუფი)

ბრიტანელებმა ავსტრალიას ტესტსერია შინ უკანასკნელად **1959** წელს მოუგეს, „უემბლიზე" კი ბოლოს **1990** წელს გაიმარჯვეს **(19:12)**. მასპინძლებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ — ზანგი ელერი ჰენლი, რომელმაც თამაშს თავი შარშან დაანება, ამ ერთი თვის წინ კი ნაკრების თავკაცად შეცვალა მალ რაილი, ვინაც ავსტრალიაში გადადის კლუბის მწვრთნელად. ჰენლიმ ნაკრებიდან დაითხოვა ლიდსელი კაპიტანი გერი სკოფილდი და აღაზევა 7 ნომერი (შერკინების ნახევარმცველი) შონ ედვარდსი.

აქაც წვიმდა. „კენგურუებს" ტესტამდე ხუთივე საკლუბო თამაში მოეგოთ. დაწყებიდან 15-ოდე წუთი იყო გასული, უელსელმა ვარსკვლავმა ჯონათან დევისმა (პროფესიულ სარბიელზე იგი მცველი ანუ **1** ნომერია) უიოლესი საჯარიმო კარს რომ ააცილა. 25-ე წუთზე კაპიტანმა ედვარდსმა ერთობ ხისტად შებოჭა ქლაიდი და მოედნიდან გააძევეს. ბრიტანელებს 7 ნომერი სჭირდებოდათ და ერთ-ერთი მორკინალის ნაცვლად ნორჩი ბობი გულდინგი შეიყვანეს, რომელმაც ნდობა გაამართლა. თამაში ულოგიკოდ წარიმართა: რიცხვნაკლულმა მასპინძლებმა იძალეს. 37-ე წუთზე მათ შეტევა თავიანთი **20** მეტრის ხაზიდან დაიწყეს, იერიშის ბოლო სტადიაში კი დევისმა მოატყუა რენუფი და გაექცა მცველ მალინსს. მერე დევისი დაშავდა, „კენგურუებმა" კი ლელო 73-ე წუთზელა გაიტანეს, თუმცა უმალ საჯარიმოდან ერთი გოლიც გაუშვეს. სხვაფრივ ბრიტანელებმა ვაჟკაცურად დაიცვეს თავი: ლიგის რაგბში მოთამაშეები მოედნის გარდიგარდმო, მთელს სიგანეზე არიან განფენილი, რის გამოც რიცხობრივი უპირატესობა ერთობ საგრძნობია.

სიდნეის პოლიციამ დაასრულა გამოძიება, მაგრამ ვერ დაამტკიცა, რომ ტოტალიზატორებთან დაკავშირებული შავ-ბნელი ძალები პროფესიული ლიგის რაგბის მოთამაშეებს ქრთამავდნენ, ამათ მათთვის სასურველი შედეგები რომ უზრუნველეყოთ. უმთავრესი ეჭვმიტანილნი „სამხრეთი სიდნეი" და „დასავლეთის გარეუბნები" ყოფილან.

ყაფლან ჯანდიერი



ჯონათან დევისი პროფესიულ სარბიელზეც ვარსკვლავია

## აქეთური, იქითური

კვირას ჰონკონგში დიდი კრივი უნდა გამართულიყო: 45-ათასიანი სტადიონის რინგზე ერთბაშად ოთხი შერკინება დაეგეგმათ, მათგან სამი — საჩემპიონო. ყოვლისძიების თვალი მძიმეწონოსანთა — ჩემპიონ (ორგანიზაციის ვერსიით) ჰარბი ჰაიდისა და პრეტენდენტ თომი მორისონის ჩხუბი იყო, მაგრამ უფულობამ ყველაფერი ჩაშალა: მთავარმა იმპრესარიო ბობ არამმა ჰაიდს ბრძოლამდე ვერ ჩაუთვალა მილიონი დოლარი, რის გამოც შოუ ჩაიშალა. ახალი ვადა და გამართვის ადგილი (სავარაუდოდ **17** დეკემბერს ატლანტიკ-სიტიში ან ფოქსვუდ-კაზინოში) მალე გამოცხადდება.

*

შაბათს ბორდოს გადახურულ ველოდრომზე ბოლო ორ თვეში მეორედ გაუმჯობესდა ერთსაათიანი რბოლის მსოფლიო რეკორდი: ჯერ იყო და 2 სექტემბერს ესპანელმა მიგელ ინდურაინმა **53 040** მეტრის გავლა მოასწრო, **22** ოქტომბერს კი შვეიცარიელმა ტონი რომინგერმა **53 832** მეტრი დაფარა. აღსანიშნავია, რომ ვიდრე ინდურაინი ბრიტანელი გრემ ოუბრის მიღწევას შეუტევდა, ფრანგულმა მედიამ ქვეყანას ამცნო, დოპინგს ეტანებაო. მრბოლმა თავი იმართლა, ამ წამლებით ასთმასა და ალერგიას ვწამლობო, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კი მისი სიმართლე დაადასტურა.

*

მატაბელელენდის (ზიმბაბვე) ადმინისტრაციულ ცენტრ ბულავაიოში საშინელი გვალვები იცის, რასაც იქაურთა სიცოცხლეც კი შეუწირავს შიმშილობის გამო. ის იყო, წინა კვირაში ბულავაიოს „ქვინზ სპორტქლაბში" ზიმბაბვე — შრი ლანკას მეორე ტესტი უნდა დაწყებულიყო, რომ წვიმამ დასცხო, რამაც თამაში ორი დღით გადაადებინათ. ზიმბაბველებს ტესტ-ქვეყნის სტატუსი შარშანწინლა ებოძათ, რის გამოც ოდენ მე-9 ტესტ-მატჩს თამაშობდნენ. ისინი ახლოს იყვნენ პირველ გამარჯვებასთან, ვინაიდან პირველ შესვლაში მეტოქეს **200**-ზე მეტი გარბენით აჯობეს და უმალ მეორე შესვლაც დააწყებინეს, მაგრამ ბოლო, მეხუთე დღეს ლანკელებმა განსაცდელს თავი დააღწიეს და თამაშიც უშედეგოდ (ფრედ) დასრულდა. ბოლო დღეს ლანკელებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს თავიანთი კრიკეტის საბჭოს პრეზიდენტის გამინიდი დასანაიკეს ნათელ ხსოვნას, ვინაც და კიდევ **50** კაცი წინადღით საარჩევნო მიტინგის დროს თამილ თვითმკვლელ ქალს აეფეთქებინა. პოლიტიკოსთა ამგვარი სიკვდილი შრი ლანკაზე ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა: ბოლო ერთ წელში ასე მოუკლავთ პრეზიდენტი პრიმადასა და ოპოზიციის ლიდერი მუდალი. რაც შეეხება განსვენებულს, **1980**-იანი წლების დამდეგს სწორედ მას გაუხერხებია თავისი ქვეყნისთვის ტესტ-სტატუსი.

აქეთური, იქითური

„სარბიელის" თანამშრომლები სამძიმარს ვუცხადებთ კახა ბობოხიძეს დედის გარდაცვალების გამო.

## საქართველოს პირველობა

### პირველი ჯგუფი

28.IX: ლელო 6 (0) (2ს: ზ. ქავთარაძე) — ყოჩები 49 (20) (ნლ: საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, ტეფნაძე, ფირიაშვილი, გულუხია, მხეიძე; 5გ: ბარძიმიშვილი - 3, მ. კალანდაძე - 2; 3ს: ტეფნაძე, ბარძიმიშვილი - 2)

4.X: ლელო არ ესტუმრა აიას

12.X: აზოტი 36 (ნლ: მინდორაშვილი, აფციაური, კბილცეცხლაშვილი, ჯიმშელაძე, მლებრიშვილი, ზ. ბერიშვილი; 3გ: გოგიშვილი, ჯიმშელაძე - 2) — ყოჩები 0

13.X: ლელო 3 (3) (ს: მაისაშვილი) — თბილისი 55 (42) (8ლ: სიხარულიძე, ალანია - 2, იოვაძე, სპ. ლიპარტელიანი - 4; 6გ: გეგელაშვილი - 5, ლიპარტელიანი; ა: გეგელაშვილი)

| | თ | მ | ფ | წ | — | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 9 | 0 | 1 | - | 262: 69 | 36- 7 | 18 |
| აზოტი (რ) | 9 | 6 | 0 | 3 | - | 344: 96 | 52-10 | 12 |
| აია (ქუთ) | 10 | 6 | 0 | 4 | 3 | 124: 84 | 14- 8 | 9 |
| ყოჩები | 10 | 4 | 0 | 6 | 1 | 172:284 | 20-39 | 7 |
| ლელო | 9 | 1 | 0 | 8 | 1 | 100:252 | 13-34 | 1 |
| მერკური | 6 | 4 | 0 | 2 | 1 | 156: 62 | 19- 5 | 7 |
| შევარდენი | 6 | 0 | 0 | 6 | 1 | 30:341 | 3-54 | --1 |

„აიას" აიეტელი რ. ჩუბინიძის თამაშებისათვის დაექვითა კიდევ 2 ქულა. „აიამ" განჩინება გაასაჩივრა

| ბომბარდირები | | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჟავა | აზოტი | 1 | 23 | 8 | - | 75 |
| ლ. ბერიშვილი | აზოტი | 10 | - | - | - | 50 |
| გეგელაშვილი | თბილისი | 1 | 15 | 3 | 2 | 50 |
| მოდებაძე | მერკური | 1 | 7 | 5 | 3 | 43 |
| ჯიმშელაძე | აზოტი | 6 | 5 | - | - | 40 |
| ტეფნაძე | ყოჩები | 1 | 6 | 7 | - | 38 |
| ჩიქვინიძე | აზოტი | 7 | - | - | - | 35 |
| ალანია | თბილისი | 7 | - | - | - | 35 |
| ქავთარაძე | ლელო | 2 | 5 | 4 | - | 32 |
| ქავთარაშვილი | თბილისი | 5 | - | 2 | - | 31 |

მელელოვეები: ლ. ბერიშვილი 10; ჩიქვინიძე, ალანია 7; ჯიმშელაძე 6; ქავთარაშვილი, ლიპარტელიანი (თბილისი) 5; თედოშვილი (აია), ობოლაძე (თბილისი), ხურციძე (ლელო) 4; მგელაძე (მერკური), ფხაკაძე (აია), ტყეშელაშვილი (მერკური), გოგიშვილი (აზოტი), ხაჩიძე (მერკური), საკანდელიძე (ყოჩები), აფციაური, მინდორაშვილი, ზ. ბერიშვილი (სამივე აზოტი), სიხარულიძე, იოვაძე (ორივე თბილისი) 3

მეარეკნეები: მაჩიტიძე (აია) 4; მოდებაძე 3; ტყაბლაძე (აია), გეგელაშვილი, მარჯანიშვილი (თბილისი) 2; ნ. ძაგნიძე (აია), ე. ძაგნიძე (აია) 1

### მეორე ჯგუფი

28.IX: რაში 7 (0) — დელფინები 6 (6) (2ს). 30.IX: რაში 13 (ლ, გ, 2ს) — ქორები 31 (5ლ, 3გ). 1.X: უნივერსიტეტი 28 (3ლ, 2გ, 3ს) — დინამო 3 (ს). 8.X: რაში 6 (3) (2ს) — უნივერსიტეტი 56 (8) (8ლ, 5გ, 2ს); დინამო 7 — ქორები 32 (5ლ, 2გ, ს). 14.X: უნივერსიტეტი 15 (10) (2ლ, გ, ს) — აიეტი 3 (3) (ს). 15.X: დინამო ვერ გაემგზავრა ბათუმს. 19.X: ქორები 10 (7) (ლ, გ, ს) — აიეტი 7 (0)

| | თ | მ | ფ | წ | — | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქორები | 10 | 10 | 0 | 0 | - | 282: 48 | 45- 3 | 20 |
| უნივერსიტ. | 9 | 5 | 0 | 4 | - | 195: 65 | 24- 7 | 10 |
| აიეტი (ქუთ) | 8 | 4 | 1 | 3 | - | 151: 88 | 16- 9 | 9 |
| დინამო | 10 | 4 | 1 | 5 | 1 | 121:161 | 17-19 | 8 |
| დელფ. (ბათ) | 8 | 2 | 0 | 6 | - | 44:253 | 2-38 | 4 |
| რაში | 9 | 1 | 0 | 8 | - | 58:236 | 5-33 | 2 |

რადგან ხაშურსა და თბილისი II-ს პირველი წრე არ დაუსრულებიათ, მათი შედეგები გაუქმდა

### რაგბის კავშირის თასი

26.X: თბილისი 15 (2ლ: სიხარულიძე, იოვაძე; გ: იოვაძე; ს: გეგელაშვილი) — ყოჩები 10 (ლ: ბარძიმიშვილი; გ, ს: ტეფნაძე)

29.X, 14 საათზე, ვაკეში: ყოჩები — აზოტი

31.X ან 1.XI, ასევე ვაკეში: თბილისი — აზოტი

„ჯუმარის" ფრანგული ტურნესა და ამ კვირაში ვაკეში გამართული ხსოვნის თასის პირველი გათამაშების ამბები იხილეთ შემდეგ „სარბიელში"


# პატივცემულო მკითხველო!

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ბავშვებს, რომელთაც დღეს ალბათ ყველაზე მეტად სჭირდებათ თქვენი სითბო და შემწეობა; ჩვენს შორის არის მრავალი ინვალიდი და ობოლი ბავშვი, რომელთა ხვედრი დღევანდელ გაჭირვებაში კიდევ უფრო გაუარესდა.

იმისათვის, რომ თქვენთან ერთად მათ მცირედ მაინც შევუმსუბუქოთ მდგომარეობა, ჩვენ — ამერიკის საელჩოს, იუნისეფის საქართველოს განყოფილების, ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციის „ქეას", აგრეთვე, საქართველოს რამდენიმე ორგანიზაციის წარმომადგენლები გთავაზობთ მსოფლიოში გავრცელებულ მასობრივი დახმარების ფორმას — საქველმოქმედო კროსს დევიზით „საქართველო — ბავშვებისათვის". ხუთკილომეტრიანი კროსი დაიწყება 29 ოქტომბერს 11 საათზე რესპუბლიკის მოედანზე. გათამაშდება ფასიანი პრიზები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში.

ინვალიდი და ობოლი ბავშვებისათვის დახმარება გროვდება როგორც კროსის უშუალო მონაწილეებისაგან, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან. ნომინალური შესატანია 10 ამერიკული დოლარის შესატყვისი თანხა ეროვნულ და ნებისმიერ ვალუტაში. თუ ეს თანხა არ გაგაჩნიათ, გთხოვთ მონახოთ სპონსორი, რათა გადაიხადოს იგი თვითონ სპონსორის დასახელებით. იმათ, ვისაც ხუთკილომეტრიანი დისტანციის დაძლევა არ შეგიძლიათ, მაგრამ გსურთ თქვენი წვლილი შეიტანოთ ობოლი და ინვალიდი ბავშვების დახმარებაში, გთხოვთ შეძლებისდაგვარად დააფინანსოთ ერთი ან რამდენიმე მორბენალი თქვენი ვინაობის დასახელებით.

ველით შემოწირულობებს ორგანიზაციებისგან, თუნდაც საკვებისა და ტანსაცმლის სახით. ყველანაირ დახმარებას გაანაწილებენ უცხოეთის საქველმოქმედო ორგანიზაციები.

ხოლო იმათ, ვისაც არ შეგიძლიათ აღნიშნული თანხის გადახდა, უბრალოდ, თქვენი მონაწილეობითაც შეგიძლიათ შეუერთდეთ ამ საქველმოქმედო აქციას. ჩვენ ამისათვისაც მადლობელი ვიქნებით.

მონაწილეთა და სპონსორთა რეგისტრაციას აწარმოებს თბილისის მერიის საინფორმაციო ცენტრში — სააქციონერო კომერციულ „არაგვი-ბიზნეს ბანკში". გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა №3 (თბილისის მერიის გვერდზე), ტელ: 99-55-86.

გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ კროსში. ამით თქვენ სიხარულს მოუტანთ ობოლ და ინვალიდ ბავშვებს.






# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძვე[illegible]